პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 246 (6557)

1979 წ. 25 დეკემბერი, სამშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

„...თბილისის წვლილიც იქნება“

კიდევ რამდენიმე დღეც და თბილისში შეკრებაზე მყოფი საბჭოთა მძლეოსანი ოლიმპიელებისთვის საახალწლო არდადეგებიც დაიწყება — 28 დეკემბრიდან ისინი თავიანთ სახლებს, სასწავლებლებს, საწარმოებს მიაშურებენ.

მანამდე სპრინტერები და თარჯმორბენლები—ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატები —გამოცდილი მწვრთნელების ხელმძღვანელობით ვარჯიშობენ, ხვეწენ თავიანთ ოსტატობას.

დიდია მათი პასუხისმგებლობის გრძნობა დღეს, როდესაც ოლიმპიური წლის კარიბჭესთან ვდგავართ და, იმაზე, თუ როგორ ნაყოფიერად გაატარებ ყოველ დღეს და საათს, ბევრად იქნება დამოკიდებული მომავალ ოლიმპიადაზე ნაჩვენები შედეგები.

ნათელია, რომ ამ პასუხისმგებლობას ინაწილებენ მასპინძლებიც. დღი ვერ იქნება ნაყოფიერი თუ სპორტსმენს წვრთნისა და დასვენების ყველა პირობა არა აქვს შექმნილი, ამიტომაც ერთობ საინტერესო იყო ამ საკითხზე თვით სტუმართა აზრის მოსმენა.

მათ კი ამის საშუალება მიეცათ კვირას კავშირგაბმულობის მუშაკთა კულტურის სახლში გამართულ შეხვედრაზე:

— ყველგან — სასტუმროში, „დინამოს“ სტადიონზე, „განთიადის“ მძლეოსნობის შესანიშნავ სასახლეში, თბილისის ზღვისა თუ წყნეთის მიდამოებში, სადაც ვცხოვრობთ თუ ვვარჯიშობთ, მზრუნველობას არ გვაკლებენ. ამიტომ მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებში ჩვენს მიერ ყველა მედლის მოპოვებაში, უეჭველია, თბილისის წვლილიც იქნება. ჩვენ, საბჭოთა ოლიმპიელები ყველაფერს გავაკეთებთ, რომ XXII თამაშებზე ერთხელ კიდევ დავადასტუროთ ჩვენი უპირატესობა. — თქვა სიტყვით გამოსულმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა, 400 მეტრზე თარჯრბენში მსოფლიოს რეკორდსმენმა მ. მაკეევამ.

...კულტურის სახლი ყვავილებით შეხვდა სტუმრებს, ოლიმპიური პლაკატებით, მოწოდებებით, ტრანსპარანტებით. ლოზუნგებით მორთულ ფოიეში, დარბაზში რამდენიმე საათი გულითად საუბარში გაატარეს სტუმარ-მასპინძლებმა.

მომავალ ოლიმპიელებს მიესალმნენ და თავიანთი მდიდარი გამოცდილება გაუზიარეს სპორტის დამსახურებულმა ოსტატებმა ე. გოკიელმა, ნ. დუმბაძემ, ბ. დიაჩკოვმა.

საპასუხო სიტყვებით გამოვიდნენ ჩვენი ქვეყნის ნაკრების მწვრთნელები პროფესორი დ. იონოვი და სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ა. იულინი. მათ გამოსვლებში იგრძნობოდა ის სითბო, სიყვარული, რაც ასე მტკიცედ აკავშირებთ ერთმანეთთან საბჭოთა ადამიანებს, მისწრაფება, რომ ყველა ერთი საქმისთვის — ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებით სამშობლოს სადიდებლად იბრძვის.

შემდეგ ამ კულტურის სახლისა და სხვა თვითმოქმედი კოლექტივების, პროფესიონალი შემსრულებლების მონაწილეობით გაიმართა კონცერტი.

...მაგრამ ეს არ იყო ოლიმპიელთა კულტურული ცხოვრების ერთადერთი ფურცელი. ერთი დღით ადრე ისინი საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში მიიპატიჟეს. სტუდენტებთან, პროფესორ-მასწავლებლებთან შეხვედრით, იქ გატარებული საღამოთი სტუმრები კმაყოფილნი დარჩნენ. უფრო ადრე კი მათთვის მოეწყო კოლექტიური სვლა სახელმწიფო ცირკში, ოპერისა და ბალეტის თეატრში...

...„წავალთ და თან წაგვყვება კმაყოფილების უზომო გრძნობა, იმის შეგნება, რომ თბილისმა თავისი კეთილი სიტყვა უკვე თქვა ჩვენი გუნდის მზადების საქმეში“... თქვა კულტურის სახლში გამართული შეხვედრის დასასრულს ნაკრების წევრმა ლ. მასლაკოვამ, რომელმაც მასპინძლებს მადლობის ნიშნად ნაკრების წევრთა ავტოგრაფებიანი ვიმპელი გადასცა.

ლ. გორდაძე.

* * *

სურათებზე: ტრიბუნაზეა მ. მაკეევა; ოლიმპიელთა ერთი ჯგუფი კულტურის სახლის შესასვლელთან.

ე. ხუცურაულის ფოტოები.

ГРОССМЕЙСТЕР
МАСТЕР СПОРТА

გულშემატკივრები ღელავენ

როდესაც XIII ტურში მ. ჩიბურდანიძეს ლ. ბელავენეცთან ესპანურ პარტიაში პაიკის წაგება გამორჩა, მერე თავდადებული თამაშის მიუხედავად, პარტია მაინც მძიმე მდგომარეობაში გადადო, გულშემატკივრები უგუნებოდ სტოვებდნენ სასახლეს. სამწუხაროდ, ჩიბურდანიძემ XIV ტურშიც ცუდად ითამაშა — მ. ლიტინსკაიასთან დებიუტიდან პასიური მდგომარეობით გამოვიდა. ლვოველმა დიდოსტატმა შებოჭა მისი ფიგურები. მაია ბევრს ფიქრობდა, მაგრამ შველა აღარ ჩანდა. ბოლოს მას საათზე ალამი ჩამოუვარდა. ამ წაგებამ კიდევ უფრო აღელვა მსოფლიო ჩემპიონის ქომაგები. ალბათ, მოკლე ხანში მეორე ტურნირში მონაწილეობამ (ზედიზედ 20-ზე მეტი პარტიის თამაშმა) დაღალა იგი. მაგრამ ჩემპიონს ბევრი მოეთხოვება და ვიმედოვნებთ, რომ ფინიშზე თავადაც უფრო მოინდომებს.

საუცხოოდ თამაშობენ ფინიშზე ნ. გაფრინდაშვილი, ნ. ალექსანდრია და ი. ლევიტინა. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ლამაზად დააგვირგვინა იერიში მოსკოვის ჩემპიონ ლ. ზაიცევასთან. მას უპირატესობა ჰქონდა ვ. კოზლოვსკაიასთანაც, მაგრამ სადღაც უზუსტოდ ითამაშა და პიატიგორსკელ დიდოსტატს კონტრშანსი მისცა. პარტია გადაიდო დაახლოებით თანაბარ პოზიციაში.

ალექსანდრიამ ზედიზედ რ. პოპივოდასა და ლ. მუჩნიკს დააყრევინა ფარ-ხმალი. პოპივოდამ ხარისხის შეწირვით სცადა ინიციატივის დაუფლება, მაგრამ ნანამ „საჩუქარი“ უკან დაუბრუნა და თამაშის სადავეები ხელთ იგდო. მუჩნიკთან ალექსანდრიამ თავისი საყვარელი ალიოხინის დაცვა გაითამაშა და პერსპექტიული პოზიცია მიიღო. მუჩნიკმა მხედარში ეტლი გაცვალა უპირატესობის დაუფლების იმედით, მაგრამ გაწბილდა, რადგან ალექსანდრიამ არაფერი დაუთმო — ბოლომდე შეინარჩუნა ხარისხი.

დიდ განსაცდელში აღმოჩნდა ი. ლევიტინა ც. კობაიძესთან პარტიაში, მაგრამ ქართველმა ოსტატმა ვერ გამოიყენა უპირატესობა. პარტია თანაბარ პოზიციაში გადაიდო.

XIV ტურში ლევიტინამ პირდაპირი იერიშით სძლია ე. სტუპინას, კობაიძემ კი ტაქტიკურ გართულებებში აჯობა ა. გრინფელდს და პირველი გამარჯვება იზეიმა.

ე. ფატალიბეკოვაც კარგად უტევდა ტ. ვორონოვას დაცვითს ზღუდეს, ბოლოს გაარღვია იგი და აქტივში პირველი გამარჯვება ჩაიწერა.

XIV ტურში სამი პარტია გადაიდო. ე. ახმილოვსკაია, რომელმაც წინა ტურში ლიტინსკაია დაამარცხა, პოპივოდასთან ინიციატივას ფლობდა, მაგრამ ხელშესავლებ უპირატესობას ვერ მიაღწია. პარტია თანაბარ პოზიციაში გადაიდო. ასეთივე მდგომარეობაში შეწყდა თამაში ბელავენეც—კოზლოვსკაიას პარტიაში. მწვავე სიტუაციაა სემიონოვა—თ. მინოგინას დაუმთავრებელ შეხვედრაში.

თ. გიორგაძე.

* * *

სურათზე: რ. პოპივოდა (მარჯვნივ) გამარჯვებას ულოცავს ნ. ალექსანდრიას. იქვე არიან (მარცხნიდან) სსრ კავშირის ჩემპიონი ლ. სემიონოვა და მთავარი მსაჯის მოადგილე, საერთაშორისო არბიტრი ტ. კრიუკოვა.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

გუშინ

მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. ლიტინსკაიამ დაამარცხა პოპივოდა, ჩიბურდანიძემ — ფატალიბეკოვა, ლიტინსკაიამ — ალექსანდრია, ვორონოვამ — გრინფელდი, ბელავენეცმა — ჩიბურდანიძე, ლევიტინამ — კობაიძე, სემიონოვამ— მინოგინა, მინოგინამ — კობაიძე. ყაიმით დასრულდა კობაიძე —სტუპინას, კოზლოვსკაია — გრინფელდის, კოზლოვსკაია — გაფრინდაშვილის, მუჩნიკ—სემიონოვას, ბელავენეც — კოზლოვსკაიასა და პოპივოდა — ახმილოვსკაიას შეხვედრები. ჩიბურდანიძემ გადადო პარტია გრინფელდთან მოსაგებ პოზიციაში.

ამრიგად, XIV ტურის შემდეგ ლევიტინას აქვს 10,5 ქულა, ალექსანდრიას — 10, ჩიბურდანიძეს — 9 და ერთი გადადებული პარტია, გაფრინდაშვილს — 9, ლიტინსკაიას და სემიონოვას — 8,5-8,5, მინოგინას — 8, ზაიცევას — 7,5.

● **ჭადრაკი**

თამაზ გიორგაძემ სძლია ტალს

მინსკში, სსრ კავშირის ვაჟთა 47-ე ჩემპიონატში გუშინწინ XV ტურის შეხვედრები გაიმართა.

წარმატებით ითამაშა ერთპიროვნულმა ლიდერმა ე. გელერმა (მოსკოვის ოლქი), რომელმაც ა. ბელიავსკი (ლვოვი) დაამარცხა.

აღმავლობით იბრძოლა თბილისელმა დიდოსტატმა თ. გიორგაძემ მსოფლიოს ექს-ჩემპიონ მ. ტალთან (რიგა) პარტიაში. გაიმარჯვა ქართველმა მოჭადრაკემ.

ს. მაკარიჩევმა (მოსკოვი) და ნ. რაშკოვსკიმ (კურგანი) პირველი დამარცხება იწვნიეს. პირველს მოუგო რ. ვაჰანიანმა (ერევანი), მეორეს — ვ. კუპრეიჩიკმა (მინსკი). დაზავდნენ ი. ბალაშოვ (მოსკოვი) — გ. კასპაროვი (ბაქო). ოთხი პარტია გადაიდო.

15 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან ე. გელერი — 10,5 ქულა, ი. ბალაშოვი — 9, გ. კასპაროვი, რ. ვაჰანიანი — 8,5-8,5, ა. იუსუპოვი — 8 (2), თ. გიორგაძე, ს. მაკარიჩევი — 8-8 (1-1), ქ. ლერნერი (ოდესა) — 7 (2), მ. ტალი, ო. რომანიშინი — 7-7 (1-1).

სათამაშო დარჩა ორი ტური. თ. გიორგაძის მეტოქეები იქნებიან ი. იუსუპოვი და ე. სვეშნიკოვი — 5,5 (1).

პანორამა

● **კრივი**

„ბროლის ხელთათმანი“ — იაკოვლევს

ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიპოვა ახალგაზრდა ლენინგრადელმა მოკრივემ ვიაჩესლავ იაკოვლევმა. ფინალში მან დაამარცხა შარშანდელი ასეთივე შეჯიბრების ფინალისტი და სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის პრიზიორი, გამოცდილი მოკრივე, მოსკოველი მიხეილ სუბოტინი. იაკოვლევს ჩემპიონის ოქროს მედალი და ყოველკვირეული „ნედელიას“ მთავარი პრიზი — „ბროლის ხელთათმანი“ გადაეცა. ჩემპიონი 19 წლისაა. იგი ლენინგრადის ფიზკულტურის ინსტიტუტის III კურსის სტუდენტია.

● **ხელბურთი**

სუპერთასი — ჩემპიონებს

დორტმუნდში „სუპერთასის“ გათამაშების ფინალში, მსოფლიოს ჩემპიონმა გფრ-ის ხელბურთელ ვაჟთა გუნდმა დაამარცხა რუმინეთის ნაკრები — 15:13. III ადგილისთვის ბრძოლაში საბჭოთა ხელბურთელებმა სძლიეს იუგოსლავიის ნაკრებს — 22:18.

● **ბადმინტონი**

პირველი ლაურეატები

მოგილიოველმა ს. ბელიასოვამ და მინსკელმა ა. სკრიპკომ გახსნეს „ბადმინტონის დიდი პრიზის“ ლაურეატების სია. ამ პრიზის გათამაშება, რომელშიც ყველა უძლიერესი ბადმინტონისტი მონაწილეობს, მოგილიოვში აპრილში დაიწყო. შემდეგ 8 სხვადასხვა ქალაქში გაგრძელდა, ხოლო ფინიში ჰქონდა ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში.

● **ფარიკაობა**

გაიმარჯვა კროვოპუსკოვმა

ფრუნზეში მიმდინარე მოფარიკავეთა საკავშირო თასის გათამაშებაში ხმლით ფარიკაობაში გაიმარჯვა მსოფლიოს თასის სამგზის მფლობელმა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა, მოსკოველმა ვ. კროვოპუსკოვმა. მან ფინალში ხუთი გამარჯვება მოიპოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სპორტკომიტეტში

„შეფასდეს არადამაკმაყოფილებლად!“

ასეთია გადაწყვეტილება საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიისა, რომელმაც სპეციალურად იმსჯელა სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაში ჩვენი რესპუბლიკის ძალოსანთა ნაკრები გუნდის შედეგებზე.

კოლეგიაზე აღინიშნა, რომ ლენინგრადის ფიცარნაგზე გამართულ სასპარტაკიადო ფინალურ ასპარეზობაში საქართველოს ნაკრებმა კვლავ დათმო პოზიციები — წინა, VI სპარტაკიადის XI ადგილიდან ოთხი საფეხურით დაიწია და XV ადგილს დასჯერდა. ერთადერთი სპორტსმენი, რომელიც დამაკმაყოფილებლად გამოვიდა შეჯიბრებაში, თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ა. ჩიტაძე („კოლმეურნე“) იყო. მან თავის წონით კატეგორიაში VI ადგილი მოიპოვა და რესპუბლიკას 14 ქულა მოუტანა.

შეიძლებოდა თუ არა სპარტაკიადაში საქართველოს ნაკრების უკეთესად გამოსვლა?

მწვრთნელი-სპეციალისტების პროგნოზებით საქართველოს 5-6 ათლეტს მაინც (თუ ისინი სრულად გამოიყენებდნენ შესაძლებლობებს) უნდა მოეპოვებინათ ჩასათვლელი ქულები, რაც საბოლოო ჯამში 72-78 ქულას მოუყრიდა თავს. მაგრამ ვერც დ. შანიძემ, ვერც ნ. პაპიძემ, რ. ტონოგანიანმა, შ. დვალმა და ვერც რ. ტარკილმა ვერ შეძლეს დავალების შესრულება: მათ გუნდს ვერცერთი ქულა ვერ მოუტანეს.

არადა, ხალხთა საკავშირო სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში რესპუბლიკის ნაკრებს სასწავლო-საწვრთნო მუშაობის გაცილებით უკეთესი პირობები ჰქონდა, ვიდრე ოდესმე.

მაგრამ, როგორც სპარტაკიადაში რესპუბლიკის ძალოსნების ჩავარდნის მიზეზთა ანალიზმა ცხადყო, ნაკრების წევრთა და მწვრთნელთა საქმიანობაში დაშვებული იქნა ორგანიზაციული და მეთოდური ხასიათის არსებითი ხარვეზები.

მართალია, ბოლო 3 წლის მანძილზე ერთგვარად ამაღლდა სპორტული ოსტატობის დონე, მაგრამ იგი ვერ აკმაყოფილებდა წამყვანი რესპუბლიკების გუნდებთან ბრძოლისთვის საჭირო მოთხოვნებს. ეს გამოიწვია იმან, რომ ნაკრების მწვრთნელთა შემადგენლობამ და საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარმა მწვრთნელმა გ. გოდერძიშვილმა ვერ უზრუნველყვეს მზადების გადამწყვეტ ეტაპზე მრავალჯერადი ვარჯიშების გამართვა, გუნდში საჭირო ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნა, დისციპლინის განმტკიცება, ფინალური სტარტებისთვის სპორტსმენთა ნებელობითი მომზადება.

მწვრთნელთა საბჭოს წევრთაშორის უთანხმოებამ, მათი მხრიდან უკმარმა მომთხოვნელობამ, ზოგიერთი სპორტსმენის მიერ გუნდის განაწესისადმი დაუმორჩილებლობამ საწვრთნო დატვირთვის რეჟიმის შეუსრულებლობა გამოიწვია.

საწვრთნო პროცესში შეიმჩნეოდა მწვრთნელთა შემადგენლობის გატაცება კლასიკური ვარჯიშების დაგეგმვით, რის გამო უყურადღებოდ რჩებოდათ რთული კომბინირებული, ძალისმიერი ვარჯიშები, საერთო ფიზმომზადებაში წვრთნის აუცილებლობა.

კოლეგიაზე აღინიშნა, აგრეთვე, გუნდისადმი სამეცნიერო-კომპლექსური ჯგუფის (ხელმძღვანელი რ. ტატიშვილი) აშკარად უკმარი დახმარება. ითქვა, რომ სპარტაკიადაში ნაკრების მაჩვენებელთა ასეთი დაქვეითება რესპუბლიკის სპორტულ ორგანიზაციებში ამ სახეობაში სასწავლო-საწვრთნელი და საორგანიზაციო საქმიანობის დაბალი დონის შედეგია.

კოლეგიამ ჩათვალა, რომ ძალოსნობის განვითარებისთვის ძალიან ცუდად მუშაობდნენ სპორტსაზოგადოებები და უწყებები. „ბურევესტნიკში“, „ლოკომოტივში“, „დინამოში“ „შრომით რეზერვებში“ უმაღლესი სპორტული ოსტატობისთვის წლების მანძილზე არაფერი კეთდებოდა. „სპარტაკში“ კი სპორტის ამ სახეობაზე საერთოდ აღარავინ ზრუნავს (რესპუბლიკის ნაკრები მთლიანად „განთიადისა“ და „კოლმეურნის“ აღზრდილებით იყო დაკომპლექტებული). მეტად მცირეა ნაკრების გეოგრაფია — იგი მხოლოდ თბილისის (6), სოხუმის (2), რუსთავისა და საჩხერის წარმომადგენლებით იყო დაკომპლექტებული. აჭარის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, ჭიათურის, წყალტუბოს, მახარაძის, თელავის კომიტეტებმა ნაკრებს თითო კანდიდატიც ვერ მოუმზადეს. მათთან კი მუშაობენ სპორტული ჯგუფები, აქვთ დარბაზები და ინვენტარი, ჰყავთ უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტები.

სპორტკომიტეტის კოლეგიამ ჩათვალა, რომ სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაში საქართველოს ნაკრების ესოდენ ცუდად გამოსვლა ძირითადად დაუდევრობის შედეგია. უფროსმა მწვრთნელმა შ. წერეთელმა, მწვრთნელმა რ. გურგენიძემ, გუნდის უფროსმა თ. ნიკოლაიშვილმა, სახეობაზე პასუხისმგებელმა ვ. სვეტილკომ და რესპუბლიკის სპორტკომიტეტის მთავარმა მწვრთნელმა გ. გოდერძიშვილმა მოვალეობას თავი ვერ გაართვეს, რისთვისაც მათ დაედოთ სხვადასხვა ადმინისტრაციული სასჯელი: კოლეგიამ წერეთელს, გურგენიძესა და სვეტილკოს გამოუცხადა სასტიკი საყვედური, გოდერძიშვილი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო გაანთავისუფლა თანამდებობიდან, ტატიშვილი გაათავისუფლა სამეცნიერო-კომპლექსური ჯგუფის ხელმძღვანელობიდან, სპორტსმენი ო. დემუროვი გამოიყვანა საქართველოს ნაკრების შემადგენლობიდან.

კოლეგიამ რესპუბლიკაში ძალოსნობის ჩამორჩენის ლიკვიდაციისთვის მიიღო სათანადო დადგენილება. აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, საჩხერის, ჭიათურის, ზუგდიდის, წყალტუბოს, თელავის, მახარაძის სპორტკომიტეტებს, სპორტსაზოგადოებათა საბჭოებს, რესპუბლიკის სპორტკომიტეტის სპორტის გამოყენებითი სახეობების სამმართველოს, ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს დაევალათ გაატარონ გადამჭრელი ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ ჩვენი ძალოსნების ხალხთა VIII სპარტაკიადისთვის უკეთესად მომზადებას, მომავალ სტარტებში მაღალი შედეგების მოპოვებას.

ფიზკულტურა ჩვენს ოჯახში

●

შვილი, დედა და მამა

ამ დღეებში ქუთაისში საინტერესო ასპარეზობა გაიმართა: „სპარტაკის“ საქალაქო საბჭოს (თავმჯდომარე ჯ. კვიციანი) ინიციატივით პირველად ჩატარდა საოჯახო სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო ბაგირის გადაწევა, ჭადრაკი (გამოდიოდა გუნდის ერთ-ერთი წევრი), კალათბურთი — ტყორცნა კალათში (ქალებისათვის), საწონის აწევა (მამაკაცებისთვის), კომბინირებული ესტაფეტა.

შეჯიბრებაში ჩაებნენ ერთი ოჯახის წევრებით დაკომპლექტებული გუნდები (შვილი, დედა და მამა).

პოლიტექნიკური ტექნიკუმის სპორტულ ბაზაზე თავი მოიყარეს შიდასაუწყებო შეჯიბრებებში გამარჯვებულებმა — სახელმწიფო დაწესებულებებისა და მედიცინის მუშაკთა პროფკავშირების კომიტეტების, საკონდიტრო ფაბრიკის, კავშირგაბმულობის, მინის ტარის ქარხნის, პურპროდუქტების საწარმოსა და სხვათა გუნდებმა.

ტურნირის „უხუცესი“ მონაწილე გახლდათ 56 წლის ოთარ ჭეიშვილი (მინის ტარის ქარხნიდან), ხოლო ყველაზე ნორჩი — 8 წლის მაია მოსეშვილი — პურპროდუქტების საწარმოს მუშის მურმან მოსეშვილის ოჯახიდან.

პირველ ადგილზე გავიდა ამირან ფხაკაძის ოჯახი (საკონდიტრო ფაბრიკა), რომელსაც გადაეცა „სპარტაკის“ საქალაქო საბჭოს გარდამავალი თასი, გუნდის წევრებს — მედლები. მეორე ადგილზეა მედიკოსების გუნდი, რომლის ინტერესს იცავდა ოთარ წერეთლის ოჯახი. მესამე ადგილი წილად ხვდა ელგუჯა ბურდულის ოჯახს (კავშირგაბმულობის კოლექტივიდან).

მეორე და მესამე საპრიზო ადგილებზე გამოსული გუნდები და გუნდის წევრები დაჯილდოვდნენ შესაბამისი ხარისხის სიგელებითა და მედლებით.

ამ შეჯიბრების ჩატარებით „სპარტაკის“ საქალაქო საბჭომ კარგი საქმე გააკეთა.

შ. ნიჟარაძე.

* * *

სურათზე: პრიზიორი გუნდები.

ო. ბერეჩიკიძის ფოტო.

● იმედის თვალით...

ტრადიციის გაგრძელება

ქართული ჭიდაობის ეშხი და ლაზათი ქართველი კაცის გმირობისა და შემართების თანამგზავრი იყო ოდითგანვე. მასში ვლინდებოდა მტერთან ჭიდილით, შრომით დაღვინებული კუნთების პლასტიკა და სილამაზე.

დღეს ქართველი ფალავნების სახელი მსოფლიოშია ცნობილი. მოდის ახალგაზრდა თაობა და იმედიანი გუნება-განწყობა გვექმნება მომავლისა...

* * *

სადად, გემოვნებით მოწყობილი ოთახი. ჟურნალების მაგიდაზე დროჟამისაგან გაცრეცილი გაზეთები.

„გორელი მოჭიდავეების შ. რომელაშვილისა და ა. ოდიშვილის, აგრეთვე კასპელი ა. ვარდოშვილის გამარჯვება არავითარ მოულოდნელობას არ წარმოადგენდა.

საინტერესოა აღინიშნოს მხოლოდ, რომ მძიმე წონაში, ფინალურ შეხვედრაში, ჩემპიონის წოდებაზე ა. ვარდოშვილს ედავებოდნენ... მისივე ძმა ლ. ვარდოშვილი (კასპი) და მამიდაშვილი შ. პაპუაშვილი (რუსთავი) და რომ სამივე საპრიზო ადგილი ამ წონით კატეგორიაში „ნათესაურად“ განაწილდა“. — წერდა „ლელო“ 1962 წლის 12 ივნისს.

სპორტის მოყვარულთა უფროს თაობას კარგად ახსოვს ამირან ვარდოშვილის გამოსვლები ხალიჩაზე. დღეს კი ამ სახელოვანი ფალავნის ტრადიციებს აგრძელებს მისი შვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის III კურსის სტუდენტი ზაზა ვარდოშვილი. შვიდი წლისაც არ იყო ზაზა, როცა თავადაც „მოსინჯა“ ჭიდაობა.

ჭიდაობით გატაცებული ბიჭუნა უყურადღებოდ არ დაუტოვებია საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს გიორგი როსტიაშვილს. რამდენიმე წლის შემდეგ სკოლის მოსწავლე დიდ ხალიჩაზე გადის.

ახალგაზრდა ფალავანს 1977 წელმა რიგი წარმატებები მოუტანა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აშხაბადში გამართული თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა პროფკავშირების საკავშირო პირველობა, სადაც ზაზამ პ. კაჭახიძესთან, ნ. როსტომაშვილთან და ვ. გელაშვილთან ერთად ჩემპიონის საპატიო წოდება მოიპოვა.

მეტად რთული და დაძაბული აღმოჩნდა 1978 წელს ლატვიის ქალაქ დაუგავპილსში გამართული სსრ კავშირის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის, სადაც 250 ფალავანი გამოდიოდა. ზაზა ვარდოშვილი ქვემძიმე წონითს კატეგორიაში ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა, თანაც თანამემამულე ნ. ბეკურიშვილთან (ოქრო), ვ. გელაშვილთან (ვერცხლი), ზ. ქუჩუბერიასთან (ვერცხლი), ზ. ავლოხაშვილთან (ბრინჯაო) ერთად ქვეყნის ნაკრებში ჩაირიცხა. მერე ისევ საკავშირო პირველობა ახალგაზრდებს შორის, ისევ ვერცხლის მედალი.

...ახლახან ტაშკენტში დამთავრდა სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონატი, სადაც ზაზამ „ოქროს მედალზე“ დაამთავრა თავისი გამოსვლა ხალიჩაზე.

— ზაზა ენერგიული და მეტად პერსპექტიული მოჭიდავეა, — გვითხრა მწვრთნელმა ნუგზარ ახიერელმა, რომელიც თან ახლდა ქართველ ფალავნებს ტაშკენტში, — მის დაოსტატებაში დიდი წვლილი მიუძღვის მწვრთნელს გიორგი როსტიაშვილს და მიხარია, რომ ამ დიდებული ოსტატის გულისხმიერებას ზაზაც წარმატებებით პასუხობს...

მერე ქალაქი ანდიჟანი. პროფკავშირთა საკავშირო ჩემპიონატი, ექვსი წმინდა გამარჯვება და კვლავ ოქროს მედალი.

ჭაბუკი ფალავანი ბევრს მუშაობს და არა მარტო სპორტულ დარბაზში — გამუდმებულ ვარჯიშთან ერთად დიდ ყურადღებას უთმობს სწავლას.

ტრადიციის კარგი გამგრძელებელიაო, სწორედ ასეთ ახალგაზრდა კაცზე იტყვიან.

ბ. ბაბნიძე.

* * *

სურათზე: ზ. ვარდოშვილი.

ბავშვის საერთაშორისო წელი დაეხმარა

— ეს იდეა თბილისის საავეჯო საწარმოო გაერთიანება „განთიადში“ მუშაობის დაწყების შემდეგ დამებადა: ნარჩენებისგან ორიგინალური სპორტული ინვენტარის დამზადება. მაგრამ ვფიქრობდი, კონკრეტულად რისი გაკეთება მოხერხდებოდა. ამოცანის საბოლოო გადაწყვეტაში დამეხმარა მიმდინარე წლის ბავშვის საერთაშორისო წლად გამოცხადება. ჩემი არჩევანიც ამაზე შეჩერდა: ნარჩენებიდან დამემზადებინა მაგიდის ჩოგბურთისა და გონებრივი სპორტის სათამაშო სათავსო. — გვიხსნის გაერთიანება „განთიადის“ თანამშრომელი, ინჟინერი შ. კუხალეიშვილი.

— იდეა გაერთიანების ხელმძღვანელობას გავაცანი. ზოგმა მომიწონა, ზოგმა შორს დაიჭირა, მაგრამ დირექტორმა გ. ცანავამ დამაიმედა, მერე საამქროს უფროსი მ. სვანიძეც მხარში ამომიდგა და ჩემს ჩანაფიქრს თანდათან ფრთები შეესხა. ამ ფოტოებზე ყველაფერი ნათლად არ ჩანს.

ვათვალიერებთ ფოტოებს, პროექტის სპეციალისტთა დასკვნებსაც ვეცნობით.

შ. კუხალეიშვილის ასაწყობი, გადასატანი „მაგიდის ჩოგბურთი და გონებრივი სპორტის სათამაშო სათავსო“, როგორც მას ავტორმა უწოდა, 55 ნაწილისგან შედგება და სულ 700 კილოგრამს იწონის. მისი დადგმა შეიძლება პიონერთა ბანაკებში, საბავშვო მოედნებზე, ეზოებში. მისთვის სასურველი სახის მიცემა არავითარ სიძნელესთან არ არის დაკავშირებული — სულ თავისუფლად შეიძლება მაგიდის ჩოგბურთის სათამაშოდ გადაკეთდეს. მაშინ იგი იმ სახეს მიიღებს, როგორიც 1-ელ ფოტოზეა აღბეჭდილი. ცუდი ამინდის შემთხვევაში იოლად აიწყობა ოთახად. სადაც 3-4 დაფაზე ჭადრაკის ან შაშის თამაში შეიძლება (მე-2 ფოტო). მე-3 ფოტოზე კი აღბეჭდილია გონებრივი სპორტის სათამაშოს საერთო ხედი.

შ. კუხალეიშვილს მისი შემოქმედების ავ-კარგიანობის შეფასება სპეციალისტებისთვისაც უთხოვია და სათანადო დასკვნებიც მიუღია საქართველოს სატყეო მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის ე. ლობჟანიძისა და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქავეჯპროექტის“ კვლევითი ინსტიტუტის გენერალური დირექტორის მოადგილის გ. გოთუასაგან, საქართველოს სპორტკომიტეტიდან...

მაგრამ ყველაზე ნაღდი შემფასებლები, ვფიქრობთ, მისი მომხმარებლები იქნებიან.

ლ. გელაშვილი.





აილამა-ზესხო:

პრობლემები და პერსპექტივა

წლეულს ალპინისტურ ბანაკ „აილამას“ არსებობის თხუთმეტი წელი შეუსრულდა. 1965 წლიდან აქ ყოველწლიურად ასობით მთამსვლელი ჩამოდის საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან, საზღვარგარეთიდან. ვინ მოთვლის რამდენი ახალბედასათვის დაულოცია მთამსვლური გზა „აილამას“ და რამდენ ალპინისტს აუმაღლებია აქ სპორტული კვალიფიკაცია.

იშვიათია ალპინისტური ბანაკი, რომელსაც ისეთი ბუნებრივი პირობები ჰქონდეს, როგორიც „აილამას“. აქ „ხელის გაწვდენაზეა“ ოცდაათზე მეტი სხვადასხვა კატეგორიის სირთულის მწვერვალი. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ: დადიაში და გესტოლა, ჯანღა და რუსთაველი, შხარა და ვახუშტი, ნამყვამი და უნამუსო, აილამა და წურუნგალა, ცანა და ფითნარგინი, თეთრი უცნობი და შავი უცნობი, შარი-თაუ და ფასის მთა...

ათი წელიწადია „აილამას“ სათავეში უდგას ცნობილი ქართველი მთამსვლელი, საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი **ჯოკია გუგავა**, რომელიც ბანაკის გახსნის ერთ-ერთი ინიციატორთაგანი იყო. სწორედ მისი მეცადინეობის წყალობით „აილამას“ მე-15 წლისთავზე დაარსდა ბანაკის ფილიალი „ზესხო“.

ეს იყო 1979 წლის 2 ივლისს. ზესხურას ულამაზეს ხეობაში მუშაობა დაიწყო ალპინისტურმა ბანაკმა „ზესხომ“. პირველ ცვლაში ბანაკმა სამოცდაათამდე კაცს უმასპინძლა. აქ იყვნენ თანრიგოსანი სპორტსმენები მოსკოვიდან, კიევიდან, ერევნიდან, გორკიდან, ოდესიდან და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებიდან.

„ზესხო“ ჩვენს თვალწინ შენდებოდა და მშვენდებოდა; უფრო სწორედ, ჩვენც ვაშენებდით და ვამშვენებდით ბანაკს. მეცადინეობებისა და ასვლებისაგან თავისუფალ დროს ვასუფთავებდით ბანაკის ტერიტორიას, ვეზიდებოდით სამშენებლო მასალას, მომსახურე პერსონალს — ვეხმარებოდით ბანაკის კეთილმოწყობაში: ვინ საფოსტო ყუთი გააკეთა, ვინ რადიორეპროდუქტორი დაამონტაჟა, ვინ — საცხოვრებელი ოთახები გადატიხრა, ვინ საშხაპე მოაწყო. საქმე გამოულევლად იყო.

— ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, — თქვა ბანაკის სასწავლო ნაწილის უფროსმა, ცნობილმა ლენინგრადელმა მთამსვლელმა იური პულინეცმა, — ეჭვი არ არის, „ზესხო“ რამდენიმე წელიწადში საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საუკეთესო ალპინისტური ბანაკი იქნება ნიშნოსანთა და დამწყებთათვის. თუ პირველ სეზონში აქ მხოლოდ თანრიგოსნები არიან, ეს იმიტომ, რომ ბანაკს პირველ ხანებში მათი გამოცდილება, მათი დახმარება სჭირდება. აქვე არ შეიძლება სინანულით არ აღვნიშნოთ, რომ „ზესხოში“ არ არის არცერთი ქართველი ინსტრუქტორი. და განა იმიტომ, რომ ისინი ცოტანი არიან. არა, უბრალოდ მათ ექსპედიციებში მეორე პლანზე ყოფნა და ქულების მოგროვება ამჯობინეს ბანაკში მუშაობას. ეს ნაკლი მომავალში აუცილებლად უნდა გამოსწორდეს!

ამავე აზრისაა „აილამას“ უფროსი ჯოკია გუგავა, რომელსაც ადგილობრივი კადრების ნაკლებობა ბანაკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად მიაჩნია.

— დღესდღეობით „აილამაში“ მხოლოდ სამი ქართველი ინსტრუქტორია: თენგიზ ცერცვაძე, თემურ მაისურაძე და ვახტანგ საბანიძე, — ამბობს იგი. — არა მარტო ინსტრუქტორები, მონაწილეებიც ერთობ ცოტანი არიან ქართველები. რატომღაც ხდება ისე, რომ ჩვენს რესპუბლიკაში საგზურების ათვისება ჭირს, ხოლო ვინც ჩამოდის, მათი უმეტესობაც „დამსვენებელია“ და ალპინისტური ბანაკი სანატორიუმად წარმოუდგენია: ორი ნაბიჯის გადადგმა ეზარება, ზურგჩანთის მოკიდებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

რაკილა სიტყვა პრობლემებზე ჩამოვარდა, უმთავრესიც უნდა ითქვას: 1976 წლის შემდეგ ბანაკი პროფკავშირთა საკავშირო საბჭოს ალპინიზმის სამმართველოს დაუქვემდებარდა. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ბანაკზე უარი თქვეს ჩვენმა სპორტსაზოგადოებებმა „განთიადმა“ და „კოლმეურნემ.“

ერთის მხრივ ეს საკვირველი არ არის, რადგან მთამსვლელობა ხიფათიანი სპორტია და არც ქულების მოტანა შეუძლია საერთაშორისო ასპარეზზე, — ამბობს ჯოკია გუგავა. — მაგრამ მეორეს მხრივ გამოდის, რომ საქართველოში — მთამსვლელობის უძველესი ტრადიციების რესპუბლიკაში, სადაც ჩაისახა საბჭოთა ალპინიზმი — მთამსვლელობის განვითარებაზე არავინ ზრუნავს! (ისე კი, რესპუბლიკის პროფსაბჭომ რომ მოითხოვოს ბანაკი, ალბათ დღესაც არ არის გვიან). ქართველ ინსტრუქტორთა ნაკლებობაც უყურადღებობის ბრალია: ლენტეხის რაიონში არის 5-6 მეორეთანრიგოსანი, ფაქტიურად „აილამას“ კადრი, მაგრამ ვერც და ვერ მოხერხდა ამ ახალგაზრდების გაგზავნა ინსტრუქტორთა სკოლაში.

ვინ იცის, კიდევ რამდენი პრობლემა დგას ბანაკის წინაშე: სამანქანო გზით და აღჭურვილობით დაწყებული, ბიბლიოთეკითა და ათასი წვრილმანით დამთავრებული. ჯოკია გუგავა ფაქტიურად მარტოდმარტო ეჭიდება მოზღვავებულ საქმეს.

ყოველივე პირადი ჯოკია გუგავასთვის მეორე პლანზეა. კეთილმოაწყო და გაამშვენიერა „აილამა“, სამი ფინური სახლი წამოჭიმა „ზესხოში“. ახლა ენგურის ყინვარის მისადგომებთან და მესტიის რაიონში, დალაყორის მიდამოებში ქოხების აგება დაგეგმა... საკუთარი სახლი კი ლენტეხში ჯერ კიდევ გაუმართავი აქვს. ჯოკია გუგავა ბანაკისათვის საჭირო სამშენებლო მასალას ზოგჯერ შინიდანაც ეზიდება. დღედაღამ ფეხზეა, ხან „აილამაში“ ტრიალებს, ხან — „ზესხოში“. თვე ისე გავა, ოჯახისთვის ვერ მოიცლის. გულისტკივილით მითხრა, ჩემი პატარა ვენახი და ბოსტანი მეუღლის მოსავლელი შეიქნაო.

ყველა წინააღმდეგობისა და დაბრკოლების მიუხედავად, ჯოკია გუგავამ იმთავითვე ისე დააყენა საქმე, რომ ბანაკში კარგი პირობებია შექმნილი ალპინისტთა მომავალი კადრების მომზადებისათვის. თავისი არსებობის მანძილზე „აილამამ“ 11 ათასამდე მთამსვლელს უმასპინძლა. მესტიისა და ლენტეხის რაიონების ყველა მოქმედმა მთამსვლელმა „აილამაში“ აიდგა ფეხი.

1970 წელს ჯოკია გუგავამ ბანაკში ინსტრუქტორად მოიწვია ცნობილი საბჭოთა მთამსვლელი ალექსანდრე ნაუმოვი, რომელმაც წლების განმავლობაში მთლიანად გამოიკვლია რაიონი და თუ დღეს აქ 72 კლასიფიცირებული მარშრუტია, ეს ნაუმოვის დიდი დამსახურებაცაა. სხვათა შორის, კარგი იქნება, თუ ჩვენი რომელიმე გამომცემლობა ითავებს და გამოსცემს ნაუმოვის მიერ გაკვალული და კლასიფიცირებული მარშრუტების კრებულს. იგი დიდ დახმარებას გაუწევდა როგორც ბანაკის ინსტრუქტორებსა და სტუმრებს, ისე ყველას, ვინც ალპინიზმითაა დაინტერესებული და ვინც კავკასიონის ამ რაიონში სპორტულ ასვლასა თუ ტურისტულ ლაშქრობას ფიქრობს.

მომავალი წლიდან „ზესხო“ ალბათ დამოუკიდებელი ბანაკი იქნება და პრობლემებიც, ეჭვი არ არის, ერთიორად მწვავედ დადგება. პრობლემათა გადაჭრა კი მარტო ჯოკია გუგავას არ უნდა უხდებოდეს. მის გვერდით უნდა იყოს საქართველოს მთამსვლელთა ფედერაცია, ლენტეხისა და მესტიის რაიონული საბჭოების აღმასკომები, ყველა ის დაწესებულება და ორგანიზაცია, რომელთაც ბანაკისთვის დახმარების გაწევა შეუძლია და ევალება. იმედია, ეს ასეც იქნება და „აილამა“ და „ზესხო“ ღირსეულად ჩაატარებენ თავიანთ მეთექვსმეტე და მეორე სეზონს. ისე, როგორც ეს ქართული მთამსვლელობის ტრადიციებს ეკადრება.

პ. ნაცვლიშვილი.

* * *

სურათებზე ჯ. გუგავა; სვანეთის მთებში...

ა. ჩარკვიანისა და ა. გურასაშვილის ფოტოები.



● მხატვრული ტანვარჯიში

მასპინძლობდა სოხუმი

ამ დღეებში სოხუმში გაიმართა მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ორი რესპუბლიკური შეჯიბრება. საზოგადოება „სპარტაკის“ დარბაზში ჯერ დაეთმო საქართველოს მოსწავლეთა 1979 წლის პირად-გუნდურ პირველობას. მოზარდთა შორის უძლიერესის სახელი მოიპოვა მარიკა გოგოლაშვილმა, ხოლო ოსტატთა პროგრამით მოასპარეზეთა შორის — ირინე ქემჩუქინამ (ორივე— თბილისი). გუნდური პირველი ადგილი წილად ხვდა თბილისის პირველ კოლექტივს.

მეორე ტურნირი, სადაც საქართველოს წამყვანი ტანმოვარჯიშეები ერთმანეთს რესპუბლიკის თასს ეცილებოდნენ, კვლავ იზეიმა გამარჯვება ირინე ქემჩუქინამ. მეორე ადგილზე გავიდა მაია ნადიბაიძე, მესამეზე — ქეთინო კუჭავა. გუნდური პირველი ადგილი კვლავ თბილისელებმა მოიპოვეს.

აქვე გათამაშდა რესპუბლიკის პირველობა წყვილთა შეჯიბრებაში. თბილისელთა უპირატესობა აქაც უდავო იყო: 1. სისაური—დოლგოვა, 2. ქემჩუქინა—ნადიბაიძე, 3. საკაშვილი—მორბედაძე (გამოდიოდნენ პირად ჩათვლაში).

● ჩოგბურთი

სიდნეისა და მაიამი ბიჩში

ავსტრალიის ქალაქ სიდნეიში გაიმართა დიდი საერთაშორისო ტურნირი. ქალთა ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ 17 წლის ჩეხოსლოვაკიელი ხანა მანდლიკოვა და ამერიკელი ბეტინ ბანჯი. ანგარიშით 6:3, 3:6, 6:3 გაიმარჯვა მანდლიკოვამ, რომელიც ამ შეჯიბრებათა 94-წლიან ისტორიაში ყველაზე ნორჩი ჩემპიონია. ჩეხოსლოვაკიელმა ჩოგბურთელმა უკვე მესამე ტურნირი მოიგო ავსტრალიის კორტებზე— მანამდე მან გაიმარჯვა მელბურნსა და ადელაიდაში. ჩოგბურთის სპეციალისტები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ მანდლიკოვას.

მაიამი ბიჩში (ფლორიდა) გაიმართა ტრადიციული ტურნირი „ორანჟ ბოლი“, რომელიც იუნიორთა (18 წლამდე) მსოფლიოს არაოფიციალურ პირველობად ითვლება. ჩოგბურთის ტალანტების ამ დათვალიერებამ წარმატება მოუტანა 17 წლის ეკვადორელ სპორტსმენს რაულ ვივერს, რომელმაც გადამწყვეტ მატჩში სძლია პერუელ პაბლო არაის — 7:6, 6:4, გოგონებში საუკეთესო იყო 14 წლის ამერიკელი კატერინ ხორვატი. ფინალში მან ანგარიშით 7:5, 6:0 დაამარცხა იტალიელი პ. მარგოტი.

სიტყვა ჩვენი სპორტის ამაგდარ ადამიანზე

„მისი ნავალიც შთენილა“

ჩვენთვის, სპორტის მოყვარულთათვის, მეტად ძვირფასია დიდ სპორტსმენთა ცხოვრების მცირე დეტალი, მცირე მოგონებაც კი, განსაკუთრებით კი ისეთისა, ვინც ერთდროულად იყო მოქალაქეცა და სპორტსმენიც, სარბიელზე და სარბიელს გარეთაც. ისეთისა, ვინც კაცი იყო ყოველ მოქმედებაში, სიტყვაში. ისეთისა, ვინც წმინდა იყო, ამ სიტყვის საუკეთესო, ძალიან ფართო გაგებით. ასეთები სამაგალითოდ იქცევიან და წლები, ათეული წლებიც კი ვერ შლიან მათ მიერ დატოვებულ კვალს.

ავთანდილ ღოღობერიძემ კარგა ხანია მიატოვა საფეხბურთო მინდორი, კარგა ხანია, „დინამოს“ სტადიონზე მატჩების დროს აღარ გვესმის „მიდი, ბასა“, მაგრამ ეს სახელი, თუ კი საუბარი ფეხბურთზე ჩამოვარდა, თუ კი სიტყვა მაინც დაიძვრება მინდვრის სახელგანთქმულ ოსტატებზე და საერთოდ, ოსტატობაზე, ძველი, ახალი თაობის გულშემატკივრებშიც უთუოდ ითქმება, მოწიწებით, რიდით, პატივისცემით. წრედ შეკრული ფეხბურთის მოყვარულნი ახსენებენ ავთანდილ ღოღობერიძეს, უფრო სწორად კი „ბასას“, ერთადერთ სიტყვას, ხალხის მიერ სიყვარულით შერქმეულს და დღეს უნაკლო ფეხბურთელისა და უნაკლო ადამიანის შესატყვისად ქცეულს, ახსენებენ და საკამათო და სადავოც აღარაფერია.

ათასი ეპითეტი შეიძლება დახარჯო კაცმა და მაინც ვერ თქვა, რატომ არის ეს სახელი ასეთი ძვირფასი, რით შეაყვარა ამ ადამიანმა თავი სპორტის ათიათასობით მოყვარულს.

იქნებ სწორედ ასეთებზე ამბობენ — სანთლივით კაციაო.

დღეს მკითხველს ვთავაზობთ უნივერსიტეტის ლექტორის **ბონდო კარტოზიას** მცირე მოგონებას, რომელიც ჩვენს სახელოვან ფეხბურთელს, ჩვენს „ბასას“ ეხება.

* * *

30-იან წლებში, როდესაც დაიწყო საკავშირო პირველობა ფეხბურთში და თბილისის „დინამომ“ მტკიცედ, სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი უმაღლეს ლიგაში, ფეხბურთმა საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში დიდი პოპულარობა მოიპოვა. ყველგან გაისმოდა ბორის პაიჭაძისა და მისი თანაგუნდელების სახელები. ზოგი ვის ბაძავდა და ზოგი ვის. ახალგაზრდები თავიანთი ინიციატივით აკეთებდნენ მოედნებს, იძენდნენ ბურთებს და სხვა სპორტულ ინვენტარს, რაც არც ისე იოლი იყო. ასეთი გატაცება სპორტის არც ერთ სახეობას არ ჰქონია.

სოფელი ბანძაც (გეგეჭკორის რაიონი) არ ჩამორჩენია ამ მხრივ სხვებს და ეს მოგონებაც ფეხბურთის ქართველ მოყვარულთათვის საინტერესო ერთ ფაქტთან არის დაკავშირებული. იგი 40 წლის წინანდელი ამბავია და ეხება ჩვენი სახელოვანი სპორტსმენისა და მოქალაქის ავთანდილ ღოღობერიძის ახალგაზრდობის წლებს, იმ პერიოდს, როდესაც იგი საკავშირო ასპარეზზე გამოსასვლელად პირველ გაბედულ ნაბიჯებს დგამდა.

1936 წელს ბანძის საშუალო სკოლის მოწაფეებმა ფეხბურთის მოედნისთვის მიწის მოზრდილი ნაკვეთი „წავართვით“ სასოფლო საბჭოს, მოვასუფთავეთ, მოვასწორეთ, შინიდან მოტანილი აკაციის ძელებით კარები გავაკეთეთ და დავიწყეთ თამაში. ვთამაშობდით ყოველდღე, ისე როგორც ვახერხებდით. თბილისში ბევრი ჩვენთაგანი ნამყოფიც არ იყო და „დინამოს“ თამაშზე წარმოდგენაც არ გვქონდა, მხოლოდ სხვათა გადმოცემით ვიცოდით ცოტა რამ. მასწავლებლების როლში გამოდიოდნენ ზაფხულობით ქალაქებიდან (განსაკუთრებით თბილისიდან, სოხუმიდან, ფოთიდან) ჩამოსული სტუმრები. მათგან ვღებულობდით უფასო გაკვეთილებს, ვსწავლობდით ბურთის გაჩერების, ტარების, დარტყმის ხერხებს.

ბანძის ახალგაზრდობის ცხოვრებაში დიდ მოვლენას წარმოადგენდა ავთანდილ ღოღობერიძის ჩამოსვლა სოხუმიდან და სოფლის ბიჭებთან თამაში. ბასა ჩვენთვის დიდი მასწავლებლის როლში გამოვიდა. იგი მაშინ (ეს იყო 1939 წელს) 17 წლის თუ იქნებოდა, მაგრამ უკვე ყოველმხრივ ჩამოყალიბებული, დახვეწილი ოსტატი იყო. ჩვენ მოგვაჯადოვა მისმა პიროვნებამ და თამაშის კლასმა. ყველანი მას ვბაძავდით. ავთანდილ ღოღობერიძემ ჩვენს მინდორზე, ასე ვთქვათ, ოფიციალურ მატჩში მხოლოდ ორჯერ ითამაშა, მაგრამ იმ შეხვედრების კვალი დღემდე არ წაშლილა. ბანძის მოსახლეობა, ბასას დღეულეთი, სათუთად ინახავს ამ მოგონებას.

ავთანდილ ღოღობერიძის ცხოვრების შემდგომი გზა საყოველთაოდ ცნობილია და მის შესახებ სიტყვას არ გავაგრძელებ. გავიხსენებ მხოლოდ ერთ ფაქტს: 1958 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა შეხვედრა ფეხბურთის ვეტერანებთან. მას ესწრებოდნენ ბ. პაიჭაძე, მ. ბერეძენიშვილი, ა. დოროხოვი, ვ. პანიუკოვი, ა. ხარბედია, გ. ანთაძე, მ. ჯოჯუა, ა. ღოღობერიძე და სხვები. მეტად ამაღელვებელი იყო ამ უკანასკნელის შეხვედრა ძველ ნაცნობებთან, უნივერსიტეტში მოღვაწე ბანძელებთან. ბასას კარგად ახსოვდა სოფლად გატარებული დღეების ყველა დეტალი, ყველას გვეხვეოდა და გვკოცნიდა, იგონებდა ბავშვობის დაუვიწყარ დღეებს.

ბევრი სიხარულისა და გამარჯვების, მარცხისა და სინანულის ცრემლი გვდენია ბასას ცხოვრებისა და მოღვაწეობის გამო, მაგრამ ერთი კი არის, არაფერი დავიწყებულა და ეს მცირე მოგონებაც ვაჟას სტრიქონებით მინდა დავამთავრო:

„შენი მერანი კვლავაც რბის,
მისი ნავალიც შთენილა.
უმადლოდ არ დაკარგულა
თუ ოდეს ცრემლი დენილა“.

სპორტული წიგნის პროპაგანდისტები

აქ ყოველთვის დიდი ყურადღებით და სითბოთი ხვდებიან მყიდველებს. „საქწიგნის“ № 1 მაღაზია „საუნჯის“ სპორტული სექციის თანამშრომლებს კლარა ჯანელიძეს და მზია მიქელიანს სხვაგვარად ვერც წარმოუდგენიათ. ორივეს ხომ ძალიან უყვარს სპორტი. კ. ჯანელიძეს განსაკუთრებით ხიბლავს კალათბურთი, სკოლაში სწავლის დროს ბევრჯერ უთამაშია და უმსაჯია კიდეც თანატოლთა ასპარეზობანი. მზია კი სკოლაში ტანვარჯიშით იყო გატაცებული. კლარა 10 წელიწადია მუშაობს „საუნჯეში“ და ის, რომ ამ მაღაზიაში სპორტულ წიგნს თვალსაჩინო ადგილი უკავია, მისი დამსახურებაცაა. რაც შეეხება მზიას, იგი სულ მეორე წელიწადია, რაც სპორტული წიგნის მოყვარულებს ემსახურება. დავუმატებთ კიდევ, რომ კარგი მუშაობისათვის გოგონებს მრავალი ჯილდო აქვთ მიღებული.

— ჩვენს სექციას ბევრი მუდმივი მყიდველი ჰყავს, რომლებიც ხშირად გვესტუმრებიან ხოლმე მაღაზიაში, — გვეუბნება კ. ჯანელიძე — განსაკუთრებით ინტერესს იჩენენ სპორტული ლიტერატურისადმი მოჭადრაკეები ე. გუფელდი, ა. ბლაგიძე, რ. თავარიანი, თ. კიკიანი, მოჭიდავეები ვ. ბალავაძე, ძმები ქ. და ა. ნინიაშვილები, ფეხბურთელები გ. ანთაძე, ს. შუდრა, ა. ჭკუასელი, სპორტული ჟურნალისტები...

მაღაზიაში სწორედ მაშინ შევედით, როდესაც სპორტულ თაროებზე გამოფენილ ლიტერატურას ფეხბურთელთა ერთი ჯგუფი ათვალიერებდა:

— ამ ბოლო დროს გულშემატკივრებმა მართლაც ბევრი საინტერესო წიგნი მიიღეს, მათ შორის ფეხბურთშიც — გვეუბნება თბილისის ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლის მწვრთნელი გია ჩარკვიანი — ცხადია, ოლიმპიურ 1980 წელს უფრო მეტი სპორტული წიგნი, ბროშურა თუ ბუკლეტი გამოვა. ალბათ, სპორტის მოყვარულთა საერთო აზრს გამოვთქვამ თუ ვიტყვი, რომ უკვე დროა, ჩვენს ქალაქში, ცენტრალურ ადგილას გაიხსნას ოლიმპიური სპორტული წიგნის მაღაზიაც, რომელიც სპორტის საუკეთესო პროპაგანდისტი გახდება.

მასპინძლებთან ერთად ვათვალიერებთ წიგნის თაროებს: „ფიზკულტურა და ჯანმრთელობა“, „ყველაფერი სპორტზე“, „მოსკოვის ოლიმპიური დრო“, „თხილამურებსა და ჩემს შესახებ“, „გამარჯვების გზით“, „ექს-ჩემპიონი“, „იმედის სტარტები“, „ფეხბურთი ეზოში“, „ადამიანი სპორტის სამყაროში“.

ამ დღეებში მაღაზიაში ელოდებიან ახალ წიგნებს — „მონრეალიდან მოსკოვამდე“, „ოლიმპიური თამაშების გმირები“, „სპორტი ჩვენს ცხოვრებაში“ და სხვა.

მ. ბრეგვაძე.

სურათზე: წიგნის მაღაზია „საუნჯის“ სპორტული სექციის გამყიდველი მ. მიქელიანი ახალ სპორტულ კალენდარს სთავაზობს ნორჩ სპორტსმენს. ა. მარუტოვის ფოტო.

● ფეხბურთი

ევროპის ჩემპიონატი

მერვე ფინალისტი

გამოვლინდა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ბოლო, მერვე ფინალისტი. ესაა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები, რომელმაც საკუთარ მინდორზე, ქ. გელზენკირჰენში, მიიღო თურქეთის გუნდი (VII ჯგუფი) და გაიმარჯვა ანგარიშით 2:0. ბურთები გაიტანეს ფიშერმა და ციმერმანმა.

ამრიგად, ევროპის ჩემპიონატის ფინალში, რომელიც 1980 წლის 11-22 ივნისს გაიმართება იტალიაში, მონაწილეობას მიიღებენ შემდეგი ქვეყნების ნაკრები გუნდები: იტალია, ესპანეთი, საბერძნეთი, ინგლისი, ბელგია, ჩეხოსლოვაკია, ჰოლანდია და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. მატჩები გაიმართება რომში, მილანში, ტურინსა და ნეაპოლში.

16 იანვარს რომში მოეწყობა ჩემპიონატის ფინალისტთა წილისყრა. ისინი განაწილდებიან 2 ჯგუფად, თითოეულში 4-4 გუნდის შემადგენლობით.

●

„სანდერლენდში“ გადავიდა

ბრიტანეთის კლუბებში კიდევ ერთი არგენტინელი ფეხბურთელი გამოჩნდა. ესაა 25 წლის კლაუდიო მარანგონი, რომელიც „სანდერლენდის“ ღირსებას დაიცავს.

შინ ბრუნდება

ავსტრიის ეროვნული ნაკრების მეკარე ფრიდელ კონცილია, რომელიც „ანდერლეჰტში“ გამოდიოდა, კვლავ შინ დაბრუნდა. იგი დაიცავს ვენის „აუსტრიის“ კარს, სადაც მას გარდა, ავსტრიის ფეხბურთელთა ნაკრების კიდევ 10 წევრი გამოდის.

ლაოაკული — „ჰერტაში“

ბუნდესლიგის ერთ-ერთი ძველი ბინადარის დას. ბერლინის „ჰერტას“ შემადგენლობაში ჩაირიცხა 22 წლის ტაილანდელი ფეხბურთელი ვიტაია ლაოაკული.

ჰოლანდია

XVII ტურში ლიდერმა — ამსტერდამის „აიაქსმა“ შინ მარცხი (6:0) აგემა პირველი ლიგის დებიუტანტს, როტერდამის „ექსცელსიორს“. ამით „აიაქსმა“ კიდევ უფრო განიმტკიცა წამყვანი მდგომარეობა, ვინაიდან მისმა მდევარმა — როტერდამის „ფეიენოორდმა“ ქულა დაკარგა (1:1) ენსხედეს „ტვენტესთან“.

ახლა „აიაქსს“ 17 თამაშის შემდეგ 28 ქულა აქვს, „ფეიენოორდმა“ და „აც 67 ალკმაარმა“ თითო მატჩით ნაკლები ჩაატარეს და 23-23 ქულა მოაგროვეს.

პორტუგალია

შარშანდელ ჩემპიონატთან შედარებით ბევრი არაფერი შეცვლილა: პირველ ადგილს ერთმანეთს ისევ „პორტო“ და „ბენფიკა“ ეცილებიან, უახლოესი მდევარი კი ლისაბონის „სპორტინგია“.

XIII ტურში სამივემ გაიმარჯვა: „პორტომ“ შინ „ვარაიმთან“ — 2:1, „ბენფიკამ“ — „სპორტინგთან“ (ბრაგა) — 3:1, ლისაბონის „სპორტინგმა“ კი სტუმრად მოუგო (1:0) „ბეირას“.

ახლა „პორტოს“ 21 ქულა აქვს, „ბენფიკას“ — 20, ლისაბონის „სპორტინგს“ — 18.

იტალია

XIII ტურში „რომამ“ შინ სძლია ლიდერს — „ინტერს“ — 1:0. ლიდერის მდევარმა „მილანმა“ ფრედ ითამაშა (0:0) „კატანძაროსთან“ და აქვე წააგო (1:2) გამოტოვებული მატჩი „ნაპოლისთან“.

ტურის სხვა მატჩების შედეგები ასეთია: „ასკოლი“ — „კალიარი“ 1:0, „ფიორენტინა“ — „აველინო“ 3:0, „ნაპოლი“ — „ლაციო“ 0:0, „პერუჯა“ — „იუვენტუსი“ 1:0, „ტორინო“ — „პესკარა“ 2:0, „უდ[illegible]ეზე“ — „ბოლონია“ 0:2.

ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები

საბერძნეთი

X ტურის შემდეგ 17 ქულით წინ არის პირეოსის „ოლიმპიაკოსი“. განვლილ ტურში მან მეტად მნიშვნელოვანი მატჩი მოუგო სალონიკის „არისს“ — 1:0. სალონიკის პაოკ-ს 16 ქულა აქვს, „არისს“ — 14. 13-13 ქულა მოაგროვეს პირეოსის „ეთნიკოსმა“ და ათენის „პანათინაიკოსმა“.

ესპანეთი

XIII ტურის ცენტრალური შეხვედრა გაიმართა ხიხონში, სადაც ადგილობრივმა „სპორტინგმა“ ანგარიშით 0:1 წააგო სან-სებასტიანის „რეალთან“. მადრიდის „რეალმა“ სტუმრად ანგარიშით 4:1 სძლია „მალაგას“. „ვალენსიამ“ მიიღო მადრიდის „რახო ვალეცანო“ და მოიგო ანგარიშით 2:0.

ტურის სხვა მატჩები: „ატლეტიკო“ (ბილბაო) — „ბარსელონა“ 2:1, „ატლეტიკო“ (მადრიდი) — „რეალი“ (სარაგოსა) 3:0, „სევილია“ — „ბეტისი“ (სევილია) 2:1, „ბურგოსი“ — „სალამანკა“ 2:0, „ესპანიოლი“ (ბარსელონა) — „ჰერკულესი“ (ალიკანტე) 0:0.

21-21 ქულით ლიდერობენ მადრიდისა და სან-სებასტიანის „რეალის“ გუნდები. 18 ქულა აქვს „სპორტინგს“ (ხიხონი), 15 — „ვალენსიას“.

შოტლანდია

XVI ტურში ორივე ლიდერმა მოიგო: „სელტიკმა“ (გლაზგო) შინ „პარტიკ თილსისთან“ —5:1, „მორტონმა“ ასევე შინ 2:0 ედინბურგის „ჰიბერნიენთან“.

ახლა ლიდერებს 23-23 ქულა აქვთ. ისინი 4 ქულით უსწრებენ „გლაზგო რეინჯერსს“.

მხიარული ფოტოობიექტივი

მ. დათიკაშვილის ფოტო (საქინფორმი).

ისინი ოლიმპიადაში იასპარეზებენ

●

კონკურენცია სულ უფრო იზრდება

ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა, ინგლისელმა შუბის მტყორცნელმა ტერეზა სანდერსონმა ამას წინათ ინტერვიუ მისცა ჟურნალისტებს, რომელშიც ოლიმპიურ პრობლემაზეც იყო ლაპარაკი.

● როგორ თვლით, ვინ იქნება მოსკოვის ოლიმპიადის მედლების მთავარი პრეტენდენტი შუბის ტყორცნაში?

— რა თქმა უნდა, პირველ რიგში მასპინძლები — საბჭოთა სპორტსმენები. მათ საკუთარი „კედლებიც“ დაეხმარებათ. ამასთან, გასულ სეზონში საგრძნობლად დაწინაურდა ამ ქვეყნის ბოლო სპარტაკიადის ჩემპიონი საიდა გუნბა. მოსალოდნელია ახალი სახელების გამოჩენაც.

მასპინძლებს ძლიერი კონკურენტი ეყოლებათ მსოფლიოს ექს-რეკორდსმენის რუტ ფუქსის სახით. წარმატების შანსი აქვს ამერიკელ კეტი შმიდტსაც, რომელიც მოსკოვის სტარტებისთვის გულმოდგინედ ემზადება. აი მთავარი პრეტენდენტები. მაგრამ თუ იმ დროისთვის მსოფლიოს წამყვან შუბისმტყორცნელთა დონე წლევანდელზე დარჩა, „ოქროს“ მოგება ჩვენგან ნებისმიერს შეეძლება. წარმატების სასწორი მაშინ მისკენ გადაიხრება, ვისაც ფორტუნა გაუღიმებს.

● როგორ აფასებთ საკუთარ შესაძლებლობებს, თუ თქვენთვის შედეგი არ არის მთავარი?

— ჩემთვის მთავარი მიზანია ტექნიკის შემდგომი სრულყოფა. მუდამ ახალ-ახალი ზღუდეების დაპყრობაზე რომ ვიფიქრო, შეიძლება ფსიქოლოგიური ზღუდის წინაშე აღმოვჩნდე, მისი დაძლევა კი აშკარად გაძნელდება. მაგრამ მე მაინც ვთვლი, რომ მომავალ სეზონში 70 მეტრის მიღწევა არ გამიჭირდება თუ, რა თქმა უნდა, ჩემამდე ეს სხვამ არ გააკეთა. მიზნის მისაღწევად აუცილებელია ტექნიკის ყველა ელემენტს სათანადო კონტროლს ვუწევდე, მეტი ყურადღება უნდა დავუთმო ძალისმიერ მომზადებას.

● აუცილებლად თუ მიგაჩნიათ რბენაში წვრთნა?

— დიახ. შუბის ტყორცნაში მხოლოდ ძლიერი ხელი და კარგად განვითარებული მხრის სარტყელი როდი კმარა. ასევე აუცილებელია სწრაფი გამორბენი. ჩემი მწვრთნელი უილფ პეიში თვლის, რომ სპორტის ნებისმიერ სახეობაში წარმატების საფუძველია ამტანობის მაღალი უნარი, ამიტომაც წვრთნაში ვიყენებ 400 მეტრამდე სხვადასხვა მანძილზე რბენას. დიდ ყურადღებას ვუთმობ სიმძიმეებით წვრთნას, სისტემატურად ვასრულებ სპრინტერებისთვის განკუთვნილ ვარჯიშთა სერიას. ხშირად ცნობილ ინგლისელ სპრინტერთან სონია ლანემენთან ერთად ვვარჯიშობ.

● ეს ხომ არ ნიშნავს, რომ თქვენ 400 მეტრზე თარჯრბენში გამართულ ტურნირებში კვლავ იასპარეზებთ?

— რა თქმა უნდა. მაგრამ ამჯერად ჩემი მთავარი საზრუნავია ოლიმპიადა-80. მოსკოვის სტარტების შემდეგ კი განზრახული მაქვს ახალ მრავალჭიდში ვცადო ძალა. სიამოვნებით დავრბივარ, ვხტები, ვტყორცნი, მიყვარს თარჯრბენი (აღსანიშნავია, რომ სანდერსონის პირადი რეკორდები ასეთია: სიგრძეზე ხტომაში 595 სმ, ბირთვის კვრაში — 13 მ, 100 მ თარჯრბენი — 13,93 წ.).

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26: სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17. უე 07562